საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

ბრძანება №27

2016 წლის 17 აგვისტო

ქ. თბილისი

„ნადირობის ობიექტებს მიკუთვნებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების ჩამონათვალის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 25 მაისის №18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ნადირობის ობიექტებს მიკუთვნებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების ჩამონათვალის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 25 მაისის №18 ბრძანების (სსმ, 68, 03/06/2009, ს/კ: 410.030.000.22.023.013.136) ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული ნადირობის ობიექტებს მიკუთვნებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების ჩამონათვალის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ფრინველები

ა) რუხი ბატი	Anser anser
ბ) თეთრშუბლა იხვი	Anas penelope
გ) რუხი იხვი	Anas strepera
დ) ჭიკვარა (სტვენია იხვი)	Anas crecca
ე) გარეული იხვი	Anas platyrhynchos
ვ) ბოლოსადგისა (კუდსადგისა) იხვი	Anas acuta
ზ) იხვინჯა (ჭახჭახა იხვი)	Anas querquedula
თ) ფართოცხვირა (განიერნისკარტა იხვი)	Anas clypeata
ი) მელოტა	Fulica atra
კ) დიდი თეთრშუბლა ბატი	Anser albifrons
ლ) წითელთავა ყვინთია	Aythya ferina
მ) ქოჩორა ყვინთია	Aythya fuligula
ნ) ხოხობი	Phasianus colchicus
ო) კაკაბი	Alectoris graeca
პ) მწყერი	Coturnix coturnix
ჟ) წყლის ქათამი	Gallinula chloropus
რ) ჩიბუხელა (გარშნეპი)	Lymnocryptes minimus
ს) ჩიბუხა	Gallinago gallinago
ტ) ტყის ქათამი	Scolopax rusticola
უ) ქედანი	Columba palumbus
ფ) გარეული მტრედი	Columba livia
ქ) გულიო	Columba oenas
ღ) ჩვეულებრივი გვრიტი	Streptopelia turtur
ყ) ღალღა	Crex crex

“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის მინისტრი **გიგლა აგულაშვილი**